



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 10

2011 წლის 28 იანვარი
ქალაქი ხაშური

შპს „ლაჟვარდის“ მიმართვის განხილვა დაბა სურამში გრიგოლ სურამელის ქუჩაზე მდებარე საქმიანი ეზოს მისამართის დადგენის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია შპს „ლაჟვარდის“ მიმართვა დაბა სურამში გრიგოლ სურამელის ქუჩაზე მდებარე საქმიანი ეზოს მისამართის დადგენის შესახებ. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ც“ ქვეპუნქტის და საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლოების საკითხთა შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის დასკვნის შესაბამისად:

- 1 დაბა სურამში გრიგოლ სურამელის ქუჩაზე მდებარე შპს „ლაჟვარდის“ საქმიანი ეზოს მისამართი დადგენილი იქნას: დაბა სურამი გრიგოლ სურამელის ქუჩა №1ა.
2. განკარგულება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. N2), ხოლო შემდგომ რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) 1 თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე